1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის
დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 25 აპრილი № 13 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

77. 1941—45 წლებისათვის ქართლის რაიონებში ქარსაცავი ზოლისა და ცოცხალი ღობის მცენარეთა სანერგეების გაშენების გეგმის შესახებ.
78. მეცხოველეობის ორი და მეტი ფერმის მქონე კოლმეურნეობებისათვის, პროდუქტიული პირუტყვის სულადობის გადიდების 1941 წლის გეგმის დაწესების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

79. საქართველოს სსრ მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შტატებისა და ხელფასის განაკვეთების უკანონოდ გადიდების შესახებ.
80. თეატრის ბილეთების ფასების დაკლების შესახებ.
81. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
82. შრომის წიგნაკების გაცემის ანგარიშგების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ.
83. ამბროლაურის რაიონისათვის საჭაპანო ტვირთზიდვის განაკვეთების გადიდების შესახებ.
84. სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სასწავლო-საწარმოო შენობებისა და საერთო საცხოვრებლების მოსაწყობად და სარემონტოდ სახალხო კომისარიატების მიერ გაწეული ხარჯების ჩამოწერის შესახებ.
85. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქსასწორრემონტ-ტრესტის ლიკვიდაციისა და დასავლეთ საქართველოში მდებარე მისი განყოფილებების აფხაზეთის და აჭარის ასსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატებისათვის და ქუთაისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

ლ. ბარგხიტ სახ. ბიბ. საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

77. 1941—45 წლებისათვის ქართლის რაიონებში ქარსაცავი ზოლისა და ცოცხალი ღობის მცენარეთა სანერგეების გაშენების გეგმის შესახებ.

„საქართველოს სს რესპუბლიკის ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს 1941—45 წლებისათვის ქართლის რაიონებში ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობის მცენარეების სანერგეთა გაშენების გეგმა, წარმოდგენილი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ (იხ. დანართი).

2. დაწესდეს 1941 წლისათვის შემდეგი ასორტიმენტი სანერგეებში სარგავი მასალის მისაღებად:

ა) ქარსაცავი ზოლების ნარგავებისათვის: პირველ რიგში პირამიდალური ალვის ხე და თურქესტანული ალვის ხე;

ბ) ცოცხალი ღობის მცენარეებისათვის გლედიჩია და ფშატი.

3. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) გორის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, თბილისის, ბორჩალოს, თეთრიწყაროს, დუშეთის და თიანეთის რაიონულ კომიტეტების მდივნებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს უზრუნველჰყონ შემდეგ ღონისძიებათა გატარება სანერგეების გაშენებისა და მოვლისათვის:

ა) გამოჰყონ საუკეთესო ნაკვეთები ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობის მცენარეთა სანერგეების გასაშენებლად, ამასთან სანერგე მეურნეობა მოაწყონ მეხილეობის ყველა ძირითად კოლმეურნეობაში;

ბ) ჩაატარონ ნიადაგის ღრმად მოხვნა სულ მცირე 30—35 სანტიმეტრ სიღრმეზე;

გ) დარგვისა და თესვისთანავე უზრუნველჰყონ მორწყვის სავალდებულო ჩატარება;

დ) მთელი ზაფხულის განმავლობაში (1 სექტემბრამდე) მრავალჯერ ჩაატარონ გაფხვიერება და პერიოდული მორწყვა ამასთან არ დაუშვან ნიადაგის გამოშრობა და სარეველა მცენარეების მოდება სანერგეებში.

4. ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობის მცენარეების სანერგეთა გულმოდგინეთ მოვლის უზრუნველსაყოფად, მიმაგრებულ იქნას სანერგეები კოლმეურნეობებში მეხილეობის ბრიგადებსა და რგოლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გაფრთხილება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს, მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს, რომ ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობის მცენარეთა სანერგეები ისეთსავე ყურადღებითს და გულდასმით მოვლას მოითხოვენ, როგორც ხილის სანერგეები.

6. დაწესდეს თითო ჰექტარზე სტანდარტული სანერგე მასალის გამოსავალი: ყოველგვარი ჯიშის ალვის ხისა 31 ათასი ცალი, გლედიჩიასი 150 ათასი ცალი და ფშატის—100 ათასი ცალი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 25 მარტი № 513.
თბილისი.

დანართი

გ ე გ მ ა

ქარსაცავი ზოლების და ცოცხალი ღობის მცენარეების სანერგეთა გაშენებისა ქართლის რაიონებში 1941—1945 წლებისათვის (ჰექტარობით)

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ქარსაცავი ზოლების სანერგეების გაშენება						ცოცხალი ღობის სანერგეების გაშენება					
	ს/ულ	აქედან:					ს/ულ	აქედან:				
		1941	1942	1943	1944	1945		1941	1942	1943	1944	1945
1. გორის	75	25	17	13	10	10	72	30	15	12	10	5
2. ხაშურის	18	8	3	3	2	2	15	6	3	3	1,5	1,5
3. ყვარელის	20	12	3	2	2	1	20	8	4	3	3	2
4. კასპის	20	12	3	2	2	1	20	9	5	3	2	1
5. მცხეთის	13	8	2	1	1	1	13	6	3	2	1	1
6. თბილისის	40	17	8	7	5	3	40	13	10	9	5	3
7. ბორჯომის	—	—	—	—	—	—	3	1	0,5	0,5	0,5	0,5
8. თეთრი-წყაროს	5	2	1	1	0,5	0,5	8	3	1,5	1,5	1	1
9. დუშეთის	5	2	1	1	1	—	5	2	1	1	0,5	0,5
10. თიანეთის	4	1	1	1	0,5	0,5	4	1	1	1	0,5	0,5
ს უ ლ	200	87	39	31	24	19	200	79	44	36	25	16

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. მეცხოველეობის ორი და მეტი ფერმის მქონე კოლმეურნეობებისათვის, პროდუქტიული პირუტყვის სულადობის გადიდების 1941 წლის გეგმის დაწესების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 24 მარტის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ნება დაერთოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ყველა აღმასრულებელ კომიტეტებს საქ. კ. პ. (ბ) საოლქო და სარაიონო კომიტეტებს კოლმეურნეობათა თანხმობით დააწესონ პროდუქტიული პირუტყვის სულადობის გადიდების 1941 წლის გეგმები იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებმაც მოაწყეს მეცხოველეობის ორი ან მეტი ფერმა (მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა, მეცხვარეობის ან მეღორეობის ფერმა) ისეთი სადედე სულადობით, რაც უკვე აღემატება 1942 წლის მინიმუმს, და რომლებსაც აქვთ პირუტყვის სულადობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1941 წ. 25 მარტი № 514.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

79. საქართველოს სსრ მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შტატებისა და ხელფასის განაკვეთების უკანონოდ გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა განაკვეთებისა და ხელფასის ფონდების უკანონოდ გადიდება ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საოლქო საფინანსო განყოფილებამ 1940 წელს შტატების რეგისტრაციის დროს დაუშვა მოსამსახურეთა ხელფასის განაკვეთების გადიდება 19 თანამდებობისათვის, აქედან სტალინირის ჰიდროელსადგურის დირექტორს 550 მანეთის ნაცვლად დაენიშნა 850 მანეთი, სტალინირის სატყეო კომბინატის დირექტორს 600 მანეთის ნაცვლად—900 მანეთი, აგურის ქარხნის დირექტორს 600 მანეთის ნაცვლად—800 მანეთი. ახალციხის რაიონში ხელფასის განაკვეთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიდებულია 11 თანამდებობისათვის, აქედან რაისპეცვაჭრობის უფროსს 550 მანეთის ნაცვლად დანიშნული აქვს 700 მანეთი, ამავე ვაჭრობის მთავარ ბუხჰალტერს 550 მანეთის ნაცვლად—700 მანეთი და სხვ.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საშტატო სამმართველომ რეგისტრაციაში გაატარა გადიდებული განაკვეთები 61 თანამდებობისათვის, აქედან საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დაგეგმვის ინსპექტორს 400 მანეთის ნაცვლად დაენიშნა 600 მანეთი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის სამმართველოს ორ უფროს ბუხჰალტერს 400 მანეთის ნაცვლად დანიშნული აქვს 500 მანეთი თითოეულს, ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატში აღრიცხვისა და ანგარიშგების ინსპექტორს 400 მანეთის ნაცვლად—600 მანეთი.

დადასტურებულია აგრეთვე, რომ ადგილი აქვს მოსამსახურეთა განაკვეთების გადიდებას თანამდებობებისათვის სახელის გამოცვლით და ახალი თანამდებობებისათვის ანალოგიის შეუფარდებლად, აგრეთვე საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ ხელფასის თვითნებურად გადიდებას შტატების რეგისტრაციის შემდეგ.

1940 წელს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა შტატების რეგისტრაცია დაგვიანებით დაამთავრეს. რესპუბლიკის 10.851 ორგანიზაციიდან 1940 წლის 1 ივნისისათვის რეგისტრაციაში გატარებული იყო 4.484 ორგანიზაცია, ანუ 42,2% 1940 წელს სრულიად არ ყოფილა რეგისტრირებული 132 ორგანიზაცია.

ზოგიერთ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ადგილი აქვს უკანონო შემთავსებლობას, უხეშად ირღვევა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 11 მარტის დადგენილება „შემთავსებლობის მოწესრიგების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1933 წ. № 19, მუხ. 110) უკანონო შემთავსებლობის და ხელფასის სხვადასხვა სახის დამატებისა და წანამატების (საზღაურის გაცემა ზედმეტი საათების მუშაობისათვის, ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის წლიური ანგარიშების შედგენისათვის და სხვ.) შემოღების სახით ფაქტიურად დიდდება მოსამსახურეთა ხელფასი:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელი ეს ნაკლოვანებანი წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ბანკები და მათი ადგილობრივი ორგანოები სუსტ კონტროლს უწევენ საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და სარაიონო (საქალაქო) ფინგანყოფილებათა გამგეებს 1941 წელს შტატების რეგისტრაციის დროს არ დაუშვან გადიდებული განაკვეთების რეგისტრაცია.

2. დაევალოს ბანკებს და მათს ადგილობრივ ორგანოებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დსწესებული ვადის—პირველი აპრილის შემდეგ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს ხელფასი მისცენ მხოლოდ 1941 წლის სარეგისტრაციო ბარათების წარდგენის შემდეგ.

3. გაფრთხილება მიეცეს სახალხო კომისარიატების, ცენტრალური დაწესებულებების ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა შტატების არათავისდროზე რეგისტრაციისათვის, აგრეთვე გადიდებული განაკვეთებიანი საშტატო ცხრილების მათ მიერ დამტკიცებისა და საფინანსო ორგანოებში სარეგისტრაციოდ წარდგენისათვის.

4. დაევალოს აჭარის და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეეს შეამოწმონ ფინორგანოების საშტატო მუშაობა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრან საშტატო-საფინანსო დისციპლინის დარღვევა.

5. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სარაიონო (საქალაქო) აღმასკომებს და საქართველოს სსრ ყველა დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელებს:

ა) დაუყოვნებლივ შესწყვიტონ მუშაკთა და მოსამსახურეთა ყოველგვარი შემთავსებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 17 მარტის დადგენილებით „შემთავსებლობის მოწესრიგების შესახებ";

ბ) დაუყოვნებლივ შესწყვიტონ სახალხო კომისარიატების, ცენტრალური დაწესებულებების, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების სამმართველო აპარატის მუშაკთა (მათ შორის ტექნიკური მუშაკებისაც) ყოველგვარი ზედმეტი საათების მუშაობა და შემდეგში არ დაუშვან სახელმწიფო სახსრების გაცემა ზედმეტ საათებში მუშაობისათვის;

გ) შესწყვიტონ სახელმწიფო სახსრების გაცემა დამატებითი დატვირთვისა და ხელფასის წანამატების სახით, აგრეთვე წლიური და სხვა ანგარიშების შედგენისა და ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის და ეს სამუშაო დააკისრონ დაწესებულებათა და საწარმოთა სათანადო მუშაკებს.

6. ნება დაერთოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1941 წლის მაისის პირველ ნახევარში მოიწვიოს საშტატო საკითხებზე მომუშავე მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ამხ. ციმაკურიძეს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას, ამორჩევით შეამოწმოს საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვა საქართველოს სსრ სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისარიატებსა და ორგანიზაციებში და შედეგები 1941 წლის ივნისის დამლევისათვის წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 24 მარტი № 485.
თბილისი.

---

80. თეატრის ბილეთების ფასების დაკლების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 14 თებერვლის № 044—87 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს რესპუბლიკური თეატრების ბილეთების შემდეგი ფასები:

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო ლენინის ორდენოსანი თეატრი	12-დან 2 მან-მდე
რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი დრამატიული თეატრი	10-დან 2 „
შარჯანიშვილის სახელობის დრამატიული თეატრი	10-დან 2 „
გრიბოედოვის სახელობის დრამატიული თეატრი	10-დან 2 „
სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი	8-დან 2 „
ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული დრამატიული თეატრი	8-დან 2 „

2. ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რაიონებისა და სხვა თეატრებისათვის დაწესდეს ბილეთების ფასები, თანახმად დანართისა.

3. თეატრის ბილეთების ახალი ფასები, რაც ამ დადგენილებით არის დაწესებული, ძალაში შევიდეს 1941 წ. 27 მარტიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 24 მარტი № 486.
თბილისი.

ტფ. მარგვის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ავტონომიური, რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონული თეატრების ბილეთების ფასები

№№ რიგ.	თეატრის დასახელება	ბილეთების ღირებულება	
1.	სოხუმის სახელმწიფო თეატრი	8-დან	2 მან-მდე
2.	ბათუმის სახელმწიფო თეატრი	8	2
3.	სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელ. სახელმწიფო თეატრი	5	2
4.	ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელ. სახელმწიფო თეატრი	8	2
5.	ფოთის ლ. ბერიას სახელობის საქალაქო თეატრი	5	2
6.	გორის საქალაქო თეატრი	5	2
7.	ჭიათურის საქალაქო თეატრი	5	2
8.	ზუგდიდის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
9.	მახარაძის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
10.	თელავის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
11.	ცხაკაიას რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
12.	ტყიბულის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
13.	ხაშურის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
14.	სამტრედიის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
15.	ზესტაფონის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
16.	ველისციხის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
17.	ბორჯომის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
18.	ჩოხატაურის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
19.	ჩხარის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
20.	ახალციხის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
21.	ხობის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
22.	ლაგოდეხის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
23.	სიღნაღის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
24.	ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახ. რაიონ. საკოლმ. თეატრი	4	2
25.	ლანჩხუთის ნინოშვილის სახ. რაიონ. საკოლმ. თეატრი	4	2
26.	წულუკიძის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
27.	ცაგერის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
28.	ონის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
29.	მესტიის რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
30.	ხულოს რაიონული საკოლმეურნეო თეატრი	4	2
31.	მოძრავი მუსიკ.-დრამატ. თეატრი	8	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

81. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კოლეგიის თავმჯდომარე სახალხო კომისარი ამხ. გ. ნ. ზამბახიძე, ამხ. მ. ნ. ანანიევი (სახალხო კომისრის მოადგილე) ი. დ. სულაძე (საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსი), ა. ა. გაბუნია (კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი), ვ. ზ. ღურბელაძე (კოლმეურნეობისათვის წყლის მიწოდების განყოფილების უფროსი).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 24 მარტი № 487.
თბილისი.

---

82. შრომის წიგნაკების გაცემის ანგარიშგების წარდგენის ვადების შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1941 წლის 11 მარტს „შრომის წიგნაკების გაცემისათვის ანგარიშგების წარდგენის ვადის შეცვლის შესახებ“ მიღებული დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1941 წ. № 9, მუხ. 153) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, განათლების, სოცუზრუნველყოფის, კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის, წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრებს და საქართველოს სსრ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების (იმ საბჭოების გარდა: რომლებიც აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობენ) თავმჯდომარეებს 1941 წლის 1 კვარტალიდან დაწყებული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას წარუდგინონ ყოველკვარტალურად, საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 18 რიცხვისათვის ანგარიში შრომის წიგნაკებისა და მათი ჩასართავების გაცემის შესახებ.

2. დაწესდეს, რომ ანგარიშები შრომის წიგნაკებისა და მათი ჩასართავების გაცემის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას № 1 და 2 ფორმების მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 11 მარტის დადგენილებით.

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ანგარიშის თავის დროზე წარდგენისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს პირადად საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს.

4. ამ დადგენილების გამოცემის შემდეგ გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 11 ივლისის № 1335 დადგენილება „შრომის წიგნაკების გაცემის ანგარიშგების შესახებ“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 25 მარტი № 496.
თბილისი.

---

83. ამბროლაურის რაიონისათვის საჭაპანო ტვირთზიდვის განაკვეთების გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ მთიან რაიონებში მარცვლეულის პროდუქტების ავტოსაჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 თებერვლის დადგენილების (საქ. სსრ. კან. კრ. 1938 წ. № 5, მუხ. 20) ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს ამბროლაურის რაიონისათვის საჭაპანო ტვირთზიდვის განაკვეთი 6 მანეთი ტონა-კილომეტრში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 26 მარტი № 504.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

84. სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სასწავლო-საწარმოო შენობებისა და საერთო საცხოვრებლების მოსაწყობად და სარემონტოდ სახალხო კომისარიატების მიერ გაწეული ხარჯების ჩამოწერის შესახებ.

„სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სასწავლო-საწარმოო შენობებისა და საერთო საცხოვრებლების მოსაწყობად და სარემონტოდ სახალხო კომისარიატების მიერ გაწეული ხარჯების ჩამოწერის შესახებ", სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 13 მარტის № 504 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო კომისირიატებს:

ა) ჩამოსწეროონ საწარმოთა საწესდებო ფონდის ხარჯზე იმ მოწყობილობის, ინვენტარისა და ინსტრუმენტის ღირებულება, რაც 1940 წლის IV კვარტალში სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლებს და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებს გადაეცა და ამ გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები.

საბიუჯეტო დაწესებულებებში გადაცემულ ძირითად საშუალებათა ღირებულება ჩამოიწერება ძირითადი სახსრების ფონდის ხარჯზე, ხოლო ინსტრუმენტისა და ინვენტარის ღირებულება ბიუჯეტის დაფინანსების იმ ნაშთის ხარჯზე, რაც წლიური ანგარიშით ირიცხება 1941 წლის 1 იანვრისათვის;

ბ) 1940 წლის IV კვარტალში სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების სასწავლო-საწარმოო შენობების და საერთო საცხოვრებლების რემონტისათვის გაწეული ხარჯები მიაკუთვნონ საამორტიზაციო ანარიცხთა ანგარიშს.

სახალხო კომისარიატები, რომლებსაც საამორტიზაციო ანარიცხები არა აქვთ, აღნიშნულ ხარჯებს დაფარავენ კაპიტალური რემონტის საერთო ასიგნებათა ხარჯზე ან საბრუნავი ფონდის შემცირების ხარჯზე.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს შემდეგში საწარმოთა ძირითადი სახსრები, რომლებიც შინაგანი რესურსების მობილიზაციის წესით გამოიყოფა, სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებს გადასცენ უსასყიდლოდ ამ საწარმოების საწესდებო ფონდის შემცირების ხარჯზე, რისთვისაც გადაცემული ძირითადი სახსრების ღირებულება ჩამოსწეროონ სათანადო საწარმოს ბალანსიდან სასწავლებლების ან სკოლის ბალანსზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. 26 მარტი № 506.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქსასწორრემონტტრესტის ლიკვიდაციისა და დასავლეთ საქართველოში მდებარე მისი განყოფილებების აფხაზეთის და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებისათვის და ქუთაისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და ქუთაისის საქალაქო საბჭოს თხოვნა და გადაეცეს მათს გამგებლობაში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქსასწორრემონტტრესტის სისტემის ქვემოთ ჩამოთვლილი სასწორსარემონტო განყოფილებანი მთელი მათი გამსვლელი რაიონული ქონებით, მოწყობილობით, ინვენტარით და სხვა აქტივებითა და პასივებით საბალანსო ღირებულების მიხედვით:

ა) სოხუმის განყოფილება—აფხაზეთის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის გამგებლობაში.

ბ) ბათუმის „ —აჭარის ასსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის გამგებლობაში.

გ) ქუთაისის „ —ქუთაისის საქალაქო საბჭოს ადგ. მრეწვ. განყოფილების გამგებლობაში.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ქუთაისის საქალაქო საბჭოს გადაცემული სასწორსარემონტო სახელოსნოების ბაზაზე უზრუნველჰყონ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ღა ქუთაისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ყველა დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია საწონსაზომი ხელსაწყოების რემონტით.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გააუქმოს საქრემონტსასწორტრესტი, რომელიც ზედმეტ შუალედ რგოლად გადაიქცა.

4. საქსასწორრემონტტრესტის ლიკვიდაციისა და მის განყოფილებათა ნაწილის ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში გადაცემის გამო, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1941 წლის გეგმაში:

ა) შემცირდეს 1941 წლის 1 აპრილიდან არასამრეწველო პერსონალი 13 ერთეულით, ხელფასის ფონდი 71,2 ათასი მანეთით და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები სამეურნეო ორგანიზაციათა ჯგუფით—111 ათასი მანეთით;

ბ) გადიდდეს სამრეწველო პერსონალი 1941 წლის 1 აპრილიდან 3 ერთეულით და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის ფონდი 23,4 ათასი მანეთის რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საქსასწორრემონტტრესტის თბილისის ცენტრალური სასასწორო სახელოსნოს ბაზაზე მოეწყოს „საწონსაზომი ხელსაწყოების ქარხანა“ და უშუალოდ დაუქვემდებარდეს იგი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქმთავმანქანმრეწვს სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო საწარმოს უფლებებით;

დ) შემუშავებულ იქნას და დამტკიცდეს საწონსაზომი ხელსაწყოების ქარხნის წესდება, ქარხნის სამმართველოს შტატი, სტრუქტურა და 1941 წლის სამრეწველო საფინანსო გეგმა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 26 მარტი № 509.
თბილისი.

[illegible]

91-306
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოქმცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. 28.

შეკვეთა № 947. ტირაჟი 1.600.